


N 74

23 აპრილი 2018 წელი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს.

ბატონო ალექსანდრე,

გთხოვთ, განიხილოთ საკითხი და კანონით დადგენილი წესების შესაბამისად მოახდინოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა. (ა). ი. პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ დაქვემდებარებაში შემავალი განყოფილებების შენობა - ნაგებობებისა და მასზედ მიმაგრებული მიწის ფართობით-უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადმოცემა „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“ - სათვის.
დანართი: „1“ გვერდი

ა. (ა). ი. პ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი:  /დავით წერეთელი/.

3425
24 04 18

არასამეწარმოო (არაკომერციული) მუნიციპალიტეტები

დასახელება		მისამართი
1	ცენტრალური ბიბლიოთეკა - მასში შემავალი სოფლის ბიბლიოთეკები : მაჩხვარეთი; აცანა; მამათი; აკეთი; ჭანჭათი; ნიგოთი; ჩოლოზარგი; ქვიანი; ჩიბათი; ლესა; ბაღლეფი; ეწერი; ნინოშვილი; ჯურეყვეთი; ნიგვზიანი; სუფსა; ღრმაღელე; ჩოჩხათი;	ცენტრალური ბიბლიოთეკა ქ. ლანჩხუთი ნინოშვილის ქ. N
2	სკოლის მუზეუმი	ქ. ლანჩხუთი ნინოშვილის ქ. N
3	მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	ქ. ლანჩხუთი ნინოშვილის ქ. N
4	ეკ. ნინოშვილის მუზეუმის შენობა	ქ. ლანჩხუთი სოფელი არჩეული
5	თ. ფირცხალაშვილის სახ. შემოქმედთა მუზეუმი	ქ. ლანჩხუთი ბარათაშვილის ქ. N
6	სუფსის კულტურის სახლი	ქ. ლანჩხუთი სოფელი სუფსა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 643

22/05/2018

643-09-3-201805221146



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების

მართვის სამსახურის უფროსის მამუკა ვადაჭკორიას

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ალექსანდრე,

მოგახსენებთ, რომ ჩვენს სამსახურს შესასრულებლად დაეწერა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ (ს/ნ 233731478) 2018 წლის 23 აპრილის N 74 მომართვა, რომლითაც მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ რამდენიმე უძრავ ქონებაზე უზუფრუქტის ხელშეკრულების გაფორმება. ჩვენი მოსაზრებაა, რომ, პირველ ეტაპზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669-ე დადგენილების 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ასევე N669-ე დადგენილების 22-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე, სარგებლობით, უვადოდ, უპირობოდ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა მოხდეს მომართვის დანართში უძრავ ქონებების ჩამონათვალში მითითებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ სუფსაში მდებარე კულტურის სახლის 412.1 კვ.მ. შენობა-ნაგებობა და მასზედ დამაგრებული 1128 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.15.52.012).

აღნიშნულ უძრავ ქონებაზე უვადო, უპირობო, უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭიროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება.

გთხოვთ დაავალოთ მერიის იურიდიულ სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება.

დანართი: 2(ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

მამუკა ვადაჭკორია

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 3012
30/05/2018

3012-09-2-201805301143



*ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს*

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის დავით წერეთელის 2018 წლის 23 აპრილის N74 მომართვის (წარმოგიდგენთ დანართის სახით) საფუძველზე მოამზადა ზემოაღნიშნული განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ სუფსაში მდებარე 1128 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 412.1 კვ.მ. შენობა-ნაგებობა - კულტურის სახლი (ს/კ 27.15.52.012)) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცემა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“ (ს/ნ 233731478).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო

უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.


3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მამუკა ვადაჭკორიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

გიორგი ფაცურია



მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2018 წლის ივნისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ სუფსაში მდებარე 1128 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 412.1 კვ.მ. შენობა-ნაგებობა - კულტურის სახლი (ს/კ 27.15.52.012)) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/ნ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე